

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

21 თებერვალი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საკატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: თამარ შენგელია.

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -  
**ტარიელ ბარამიძე**

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გელა ჩიკვაძე**. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

**დღის წესრიგი**

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ტარიელ ბარამიძე/

2 ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /დავით გაბუნია/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /დავით გაბუნია./

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არის თანამდებობრივი სარგოს მატება, ჩვენც მივიღეთ გადაწყვეტილება , რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში გავზარდოთ თანამდებობრივი სარგოები და გავითანოთ ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად, რომელიც ასე გადავანაწილეთ.

საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა სარგოს ოდენობებია:

საკრებულოს თავმჯდომარე 2980 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 1980 ლარი.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე 1650 ლარი.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე 1650 ლარი.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე 1000 ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**გადაწყვეტეს:**

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში

განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

*/დანართი N2/*

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - არცერთი

***მოისმინეს:***

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომსახენებელმა დავით გაბუნამ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ როგორც საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე არის გადანაწილებული თანხები ანალოგიურად არის მერიის თანამდებობის პირებზეც. კერძოდ:

ვანის მუნიციპალიტეტის მერი 2980 ლარი

მერის პირველი მოადგილე 1980 ლარი

მერის მოადგილე 1880 ლარი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - 1500 ლარი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - 1200 ლარი

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 750 ლარი

მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 650 ლარი

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - 600 ლარი

მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 550 ლარი

მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მერის წარმომადგენლის ასისტენტი - 450 ლარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

***გადაწყვიტეს:***

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა

რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

*/ დანართი N3/*

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - არცერთი

***მოისმინეს:***

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხში იყო შენიშვნები, რომელიც ჩვენს მიერ არის გათვალისწინებული.

***გადაწყვიტეს:***

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N4/*

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ჩიკვაძე**

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის თავმჯდომარე